

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრა გამართა

21 მარტი 2017

სამხარეო ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გამართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, თეიმურაზ მაჩაიძემ. შეხვედრას შიდა ქართლის გუბერნატორი, კახა სამხარაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განხილულ იქნა 2017 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. ვიზიტის მიზანი იყო რესურსცენტრების, საჯარო სკოლის დირექტორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის გაზრდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელების პროცესში, მათი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.